



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ტექნიკური სისტემები და
ტექნოლოგიები აგრობიზნესში

საფეხური - ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება - აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 22.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 10.12.2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	აგროინჟინერია, 0719
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ტრააპიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი გავარდაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულებით კადრების მომზადება მნიშვნელოვანია, რადგან სამეწარმეო საქმიანობის და ახალი ტექნოლოგიების განვითარება პრიორიტეტულს ხდის შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას, სწორედ ამ მიმართულებით კადრების მომზადებას ითვალისწინებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“. იგი მოიცავს 240 კრედიტს და მისი შედგენისას გათვალისწინებულია მოქმედი პროგრამა აგროინჟინერიის კურიკულუმი, აღნიშნული პროგრამა ერთადერთი მოქმედი პროგრამაა საქართველოში რომელიც ამზადებს მსგავსი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 22 ოქტომბერს, რომლის დროსაც გაიმართა შეხვედრები აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

)/ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

- სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებში.
- ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება.
- ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება.
- ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება.
- გაძლიერდეს აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება- პროგრამის პოპულარიზაცია,
- სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს უცხოური ენის სწავლების კომპონენტს კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია აგროინჟინერიის სფეროსათვის მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებას, არსებული საწარმოო რესურსების პირობებში მექანიზებული სამუშაოებისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის რაციონალურად ორგანიზებასა და წარმართვას. საქართველო აგრარული ქვეყანაა და შესაბამისად სოფლის მეურნეობის მიმართულებით კადრების მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნული პროგრამა ერთადერთია საქართველოში რომელიც ამზადებს მსგავსი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წწ. სტრატეგია ითვალისწინებს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა შეესაბამისობაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრარული ფაკულტეტის მისიასთან.

პროგრამა საშუალებას იძლევა აგროინჟინერიის სფეროში საწარმოო-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მოამზადოს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე ბაკალავრის კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია და შესაძლებელია ადგილობრივი ბაზრისათვის მომზადეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. თვითსეფასებაში აღნიშნულია რომ პროგრამის ძლიერ მხარეებად განიხილება სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციებისა და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რაც დასტურდება იმ ცოდნითა და უნარებით, რასაც შეიძენს კურსდამთავრებული. ასევე აღსანიშნავია რომ პროგრამას აქვს თითქმის 70 წლიანი განხორციელების ისტორია და იგი იწყება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“

რეკომენდაციები:

o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, კერძოდ პროგრამის მიზნებში აღნიშნულია რომ „აგრობიზნესში აგროინჟინერიის სფეროსათვის მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ბაკალავრი, თანამედროვე კონსტრუქციების სასოფლო-სამეურნეო-სამეურნეო ტექნიკისა და პროგრესული მანქანური ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების, შეზღუდული საწარმოო რესურსების პირობებში მექანიზებული სამუშაოებისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის პროცესის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვის მიმართულებით“ მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტულ სილაბუსებში გაწერილია ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ზოგადი და დარგობრივი უნარები რომლებიც მთლიანობაში გადიან აღნიშნულ შედეგებზე. კურსკულუმის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება: - აღწერს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და

ტექნოლოგიური მოწყობილობების კონსტრუქციებს, მათი მუშაობის პრინციპებსა და ექსპლუატაციის თავისებურებებს;

- აღწერს პროგრესული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარების ხარისხის მართვის მეთოდებს;
- განიხილავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ინოვაციურ მეთოდებს;
- აღწერს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებისა და ჩატარების რაციონალურ მეთოდებსა და ხერხებს;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის პროცესებში განიხილავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს.

უნარი:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების აგროტექნიკური ოპერაციებისა და მეცხოველეობის ფერმებში მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარებისათვის შეიმუშავენ ახალი ან/და მოდერნიზებული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენების პირობებს;
- ადგენს სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების რაციონალურ შემადგენლობას და ახდენს მათ დაკომპლექტებას, უსაფრთხოების წესების დაცვით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესზე ზედამხედველობას;
- საწარმოო რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით ორგანიზებას უწევს აგროტექნიკური ოპერაციებისა და მათი სატრანსპორტო მომსახურების ჩატარებას, აფასებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს;
- ახდენს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებას, ორგანიზების უწევს მათი ჩატარებისა და ხარისხის მართვის ღონისძიებებს;
- გეგმავს და ახორციელებს ახალი ან/და გარემონტებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღება-ჩაბარებისა და ინვენტარიზაციის პროცესს;
- გეგმავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს და ორგანიზების უწევს მათ განხორციელებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებით შეიმუშავენ შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებსა და ზედამხედველობას უწევს მათ განხორციელება

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები, დაშვების წინაპირობების გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ლოგიკურ ბმას და განვითარებას: ცოდნის შეძენა, გაღრმავება-განმტკიცებისაკენ. სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია სწავლება/სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სილაბუსების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით 41 სავალდებულო და არჩევით კურსებში გათვალისწინებულია სწავლის შედეგები. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და შეესაბამება დარგის სპეციფიკას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, კერძოდ ქულები, რომელსაც ის აგროვებს შუალედური და დასკვნითი გამოცდებით, ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობებით,

რომელთა შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სტუდენტის აქტივობები ფასდება სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების, რეფერატისა და პრეზენტაციის მომზადების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების, დისკუსია/დებატებში მონაწილეობის, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მომზადება/წარდგენისა და სხვა კრიტერიუმებით, რაც შეესაბამება სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგს. სხვადასხვა ტიპის აქტივობების შეფასების დროს ფიქსირდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც საბოლოოდ პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებლის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა. მათი გამოკითხვების შედეგად მიღებული რჩევები გათვალისწინებულია პროგრამის შედგენისას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“
- შრომის ბაზრის ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაინტერესებული პირების დაშვებისას გამოყენება შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი და პროგრამაზე სწავლის დაწყების წინ აგრარულ ფაკულტეტზე რეგისტრაციას გაივლის დადგენილი პროცედურების დაცვით, ასევე დასაშვებია როგორც გარე ისე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და ქვეყნდება ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო ცნობარში აბიტურენტებისათვის, ასევე მისი განთავსება ხდება უნივერსიტეტისა და აგრარული ფაკულტეტის ვებგვერდზე, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სოციალური ქსელებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

პროგრამაზე სტუდენტთა მოზიდვის მიზნით სასურველია გაძლიერდეს აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება- პროგრამის პოპულარიზაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ კურიკულუმი
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №94(17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს № 12(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 224/ნ, 2011 წლის 29 დეკემბერი,
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №24/ნ, 2018 წლის 30 აგვისტო.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება-პროგრამის პოპულარიზაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 137 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 8 კრედიტი;
- დამატებითი (minor) პროგრამები - 60 კრედიტი;

ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო და ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები.

პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ შესაბამისად, მასში დაწვრილებით გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას.

საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ევროპისა და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოქმედი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, სწავლება/სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს და სტუდენტთა ცოდნის შეფასების წესს, დასაქმების სფეროებს, აუცილებელ რესურსებსა და დამხმარე პირობებს.

დამატებითი (minor) პროგრამები-საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ ჩარიცხულ სტუდენტს სურვილისამებრ შეუძლია აირჩიოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამატებითი (minor) პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ძირითადად უზრუნველყოფს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური;

დამსაქმებელთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა მათი ინტერესი და მზაობა სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის გაძლიერების მიმართულებით, რაც უნდა მოიცავდეს მათ ორგანიზაციაში სტუდენტების პრაქტიკის გაძლიერებას სასოფლო-სამეურნეო და აგროსაინჟინრო სერვისების საწარმოებში.

ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ დამსაქმებლებს დიდი ყურადღება გამახვილებული აქვს ბიზნესის განვითარების მიმართულებით, რაშიც აქტიური

მონაწილეობა გამახვილებულია სტუდენტების დასაქმებაზე. დამსაქმებლების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი დაასაქმებენ ყოველ წელს მოწინავე სტუდენტებიდან 10 კაცის რაოდენობით.

საყურადღებოა ასევე დამსაქმებლების ინტერესი სტუდენტების სტაჟირების სრულყოფაზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას.

გამოითქვა მოსაზრება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტებს მიეცეს საშუალება ადგილზე დამსაქმებელთა ლაბორატორიებში და შესაბამის ობიექტებზე შესრულონ პრაქტიკული სამუშაოები შესაბამისი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ე.წ. დამკვირვებელი მხედველობაში მიღებით.

ინტერვიუს პროცესში დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის - „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ დამუშავების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებმა სრულად გათვალისწინებულია მათი მოთხოვნები და ზუსტად ასახავს დამსაქმებლების წინადადებებს.

პროგრამის სრულყოფისა და განვითარებისათვის სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, საწარმოო პრაქტიკა წარმოდგენილია 5 ESTS კრედიტით, სასურველია მისი გაზრდა 10 ESTS, ასევე სასურველია საგნებზე დაშვების წინაპირობების გამარტივება.

სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს უცხო ენის სწავლების კომპონენტს კიდევ უფრო გაძლიეროს ის, რაც ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის გაზრდას გაცვლით პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ძირითადი და დამატებითი (minor) პროგრამების სპეციალობის კურსულში, სასწავლო გეგმა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება.
- სტუდენტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გადახედოს უცხოური ენის სწავლების კომპონენტს კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ სტრუქტურა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კომპეტენციების თანდათანობით განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირების არსებობით. სასწავლო კურსების შინაარსი ვითარდება ზოგადიდან უფრო კონკრეტულამდე, საბაზოდან სპეციალური თემატიკის მიმართულებით, შესაბამისად შემდგომ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული. ზოგიერთ სასწავლო კურსს წინაპირობა არ გააჩნია. პროგრამის შემუშავებისას გავითვალისწინებულია დარგის წამყვან უნივერსიტეტში განხორციელებადი ანალოგიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს გააჩნია კვალიფიკაციის მე-6 დონის შესაბამისი კომპეტენცია.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციით „ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში“ სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

აღსანიშნავია რომ სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას და მასში წარმოდგენილი სასწავლო მასალის თვისებისათვის საჭირო ლიტერატურა წარმოდგენილია ქართულ ენაზე და შეესაბამება დარგის ინტერესებს.

სასწავლო კურსების მოცულობა კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
0 პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
0 მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 0
შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ვლევითი და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო უნარების ფორმირება-განვითარებას ხელს უწყობს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები: „სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანები“, „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაცია“, „მანქანათა ტექნიკური სერვისი“, „სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვები“, „სამთო და სუბტროპიკული მიწათმოქმედების მექანიზაცია“ და „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“. აღნიშნული სასწავლო კურსებით გათვალისწინებულია სტუდენტის ან/და სტუდენტთა ჯგუფის მიერ დარგის აქტუალურ თემებზე რეფერატებისა და პრაქტიკული დავალებების შესრულება და პრეზენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ აგროინჟინერიის დეპარტამენტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში და შედეგები წარმოადგინოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე, ასევე აგროინჟინერიის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალთან ერთად გამოაქვეყნონ სამეცნიერო სტატიები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო მოქმედი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ 86 სტუდენტმა და სულ წარმოდგენილი იქნა 80 მოხსენება. 2019 წლიდან უნივერსიტეტში ამოქმედდა სტუდენტური კონფერენციის მასალების ანტიპლაგიატზე შემოწმების სისტემა. 2019-2020 წლებში აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში ჩატარებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

2017-2018 სასწავლო წლიდან ძალაში შევიდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთ კრიტერიუმად განისაზღვრა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის აქტივობების დონე, რაც კიდევ უფრო ზრდის სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის

პრაქტიკული უნარების განვითარებელ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსი. საწარმოო პრაქტიკის გავლა სტუდენტებს შეუძლიათ რეგიონში არსებული წარმატებული კომპანიების ბაზაზე, რომლებთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება: შპს. „ტრაქტორსერვისი“, შპს. „ზანაგრო“, შპს. „აგროტექსერვისი“, შპს. „გიომ-1“. ყოველწლიურად განახლებადი პროფესიული პრაქტიკის ხელშეკრულებები ხელსუწყობს პრაქტიკული გარემოს გაუმჯობესებას, საწარმოო პროცესების რეალურ პირობებში გაცნობას, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებას და შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება-განმტკიცებას.

ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: „აკადემიური წერა“ და „დარგობრივი უცხო ენა“. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“
- პროგრამის სილაბუსები
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- აგრარული ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და საგანმანათლებლო პროფილი
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულია სწავლება/სწავლის შემდეგი მეთოდები: დემონსტრირების; დისკუსია/დებატების; ინდუქციური, დედუქციური, სინთეზის, ანალიზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობის, ლაბორატორიული, პრაქტიკული, ახსნა- განმარტებითი, გონებრივი იერიშის, თანამშრომლობითი სწავლების, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, შემთხვევითი ანალიზის, ევრისტიკული, ჯგუფური მუშაობის, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდები. აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა ორიენტირებულია სტუდენტების შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობების ორგანიზებაზე, შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის ფორმებია: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა, ჯგუფში მუშაობა, საწარმოო პრაქტიკა და კონსულტაცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ტარდება აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში დანერგვის მიზნით, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ლექციებზე ურთიერთდასწრების ოქმები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
0 პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
0 მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურის შესაბამისად, კერძოდ სტუდენტთა შეფასების სისტემა განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით №5 (17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებების მოთხოვნებს. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. ცალკეულ სასწავლო კურსში შეფასების კრიტერიუმები გაწერილია დეტალურად. სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი ცოდნის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები ადვილად აღსაქმელია და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მოსალოდნელი სწავლის შედეგის დადგენაზე. უნივერსიტეტში დანერგილია ცოდნის შეფასების შედეგების გამოქვეყნების ელექტრონული სისტემა რომელთანაც სტუდენტებს აქვს ინდივიდუალურად წვდომის საშუალება.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების მეთოდები შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა. სტუდენტების შეფასება სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და შესაბამისია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სასწავლო გეგმა - სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 0 პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მეტწილად უზრუნველყოფილია სტანდარტში აღწერილი კომპონენტები. სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ინფორმირებულები არიან ადმინისტრაციულ და სარეგისტრაციო პროცედურებზე, გაცნობიერებული აქვთ საუნივერსიტეტო წესების უმეტესობა.

დაწესებულება პროგრამის ძლიერ მხარეებად განიხილავს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მაღალ ჩართულობას სხვადასხვა სახის კვლევებში, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის მაღალ მაჩვენებელს და ასევე, შეთავაზებული სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნებას.

უნივერსიტეტში მეტწილად განვითარებულია ელექტრონული სერვისები სტუდენტებისთვის - ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა, სამეცნიერო ბაზები (ამ ნაწილში სტუდენტთა ინფორმირებულობა დაბალია), სწავლის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, უნდა აღინიშნოს, რომ Covid19 პანდემიის გამო უნივერსიტეტი გადავიდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე და სტუდენტებს შეუძლოთ სასწავლო და სხვა პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვა.

პროგრამაზე სუსტად არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. სტუდენტების ძირითადი ნაწილი ვერ სარგებლობს აღნიშნული შესაძლებლობით, ძირითადი შეზღუდვა სტუდენტების ინფორმაციით კი ენობრივ ბარიერს უკავშირდება.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების კომპონენტი პროგრამის ფარგლებში მეტწილად უზრუნველყოფილია - სტუდენტები ინფორმირებულები არიან პროფესორებთან დამატებითი საკონსულტაციო საათების შესახებ, იცნობენ შეფასების სქემებს და სწავლის პროცესში იყენებენ სილაბუსებს ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐ შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მტკიცებულებები/ინდიკატორები რეკომენდაციები: რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს იღებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 4 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 4 მოწვეული სპეციალისტი, 4 დამხმარე პერსონალი რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და სასწავლო-მეთოდურ მუშაობას. რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებით, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობით.

პროგრამის ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ინფორმაციული მეცნიერებების მიმართულების სასწავლო კურსების განხორციელებას უზრუნველყოფს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტების კვალიფიციური აკადემიური

მოწვეული სპეციალისტები შერჩეულია სფეროს მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის ქონით.

პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა.

პროგრამის ხელმძღვანელობს ემზარ კილასონია და დავით კბილაშვილი არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, გააჩნიათ უმაღლეს სასწავლებელში რამოდენიმე ათეული წლის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება, აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ისინი კოორდინაციას უწევენ პროგრამის შემუშავების, განხორციელების, სასწავლო პროცესის ხარისხის პერიოდული მონიტორინგისა და განვითარების სამუშაოებს. პასუხისმგებელი არიან აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და წარმოადგენენ ძირითად საკონტაქტო პირებს, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის შიდა და გარე შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და აკადემიური მოსწრების შედეგების ექსპერტიზის პროცესში.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს აგრარულ ფაკულტეტზე მომუშავე სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ამრიგად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ სტუდენტები, უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს №173 (28.02.2018 წ.) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ
- 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება: „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით

მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“ - პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალისა და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება,
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება ხდება ინდივიდუალური დატვირთვებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგების ანალიზით. პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო- მეთოდური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება აგროინჟინერიის დეპარტამენტში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტში და

წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ასევე ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური პერსონალი აწარმოებს თვითშეფასებას. ფასდება სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო საქმიანობა. შედეგად გამოიკვეთება პრობლემები, რომლებიც სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით მოითხოვს შესაბამისი ღონისძიების განხორციელებას. ის პრობლემები რომელიც გამოიკვეთება ხოლმე თვითშეფასების ანგარიშებში ძირითად ეხება სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გავლილი ტრენინგები, მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში და პროექტებში. თუმცა კი ესენი ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ უნდა გააქტიურდეს აკადემიური პერსონალის მიერ საგრანტო პროექტების განაცხადების წარდგენა, განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტების მიმართულებით, რა შესაძლებელს გახდის როგორც დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას ისე გაზრდის პერსონალის შესაძლებლობებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ უნივერსიტეტი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ქმნის და პერმანენტულად აუმჯობესებს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმე
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ლექციებზე ურთიერთდასწრების ოქმები
- დეპარტამენტის ანგარიშები
- კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში მონაწილეობის სერტიფიკატები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტისა და აგრარული ფაკულტეტის სასწავლო ინფრასტრუქტურა. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობა და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების პრაქტიკულად განხორციელებას და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ესენია: სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოო ობიექტების ინფრასტრუქტურა და აგრარული ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის კაბინეტ- ლაბორატორიები.

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

მატერიალური რესურსებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მუდმივად უნდა განავითარონ და სრულყოფნ მატერიალური რესურსები.

უნივერსიტეტმა პერმანენტულ რეჟიმში უნდა განაგრძოს ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გამოიხატება როგორც სარემონტო სამუშაოების ისე ინვენტარის განახლების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კორპუსში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა

რეკომენდაციები:

- ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დაგეგმვა ხორციელდება აწსუ-ს წარმომადგებლობითი საბჭოს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ“ №175, 28.02.2018 დადგენილების მიხედვით, რომლის საფუძველზე პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი რომელიც მოიცავს სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისათვის.

მიზანშეწონილია ბიუჯეტში გაიზარდოს ხარჯები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, რაც გამოიხატება მათ ფინანსურ მხარდაჭრაში სამეცნიერო კონფერენციებში, ტრენინგებში და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობებში მონაწილეობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

- პროგრამის ბიუჯეტი - ინტერვიუები
რეკომენდაციები: - ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
დაწესებულება პროგრამაზე უზრუნველყოს შიდა ხარისხის შეფასების მეთოდებს სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმებში. პროგრამისთვის ყოველწლიურად მზადდება თვითშეფასების დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებულია როგორც სუსტი ისე ძლიერი მხარეები. გარდა ამისა, ფაკულტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროფილი,

სადაც იდენტიფიცირებულია პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებები.

პროგრამისთვის შიდა საექსპერტო დასკვნა მომზადებულია მომიჯნავე დარგის სპეციალისტის მიერ, შესაბამისად, იგი უფრო მეტად ორიენტირებულია მექანიკური/ტექნიკური შეცდომების იდენტიფიცირებაზე, ვიდრე პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსობრივი მხარის შეფასებაზე. დარგის სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართვა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ ინსტრუმენტის გავლენას ხარისხის უზრუნველყოფის საერთო შედეგებზე.

დაწესებულება შეგროვებულ მონაცემებსა და შემუშავებულ ანგარიშებზე დაყრდნობით გეგმავს და ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში, მისი გაუმჯობესების მიზნით. სახეზეა მჭიდრო თანამშრომლობა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწლს აკადემიური საბჭოს დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“-ს დამტკიცების შესახებ
- აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები
- პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასებები
- პროგრამის შიდა საექსპერტო დასკვნა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებამ პროგრამაზე „აგროინჟინერია“ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს, საბჭოს N28 გადაწყვეტილების შესაბამისად. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამაში ასახა და იგი წარმოდგენილია განახლებული სახით. გარდა ამისა, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის გარე საექსპერტო დასკვნა, რომელიც პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ არის მომზადებული. შეფასების დოკუმენტი მნიშვნელოვან რეკომენდაციებს შეიცავს, რომელიც დაწესებულებამ წარმოდგენილ პროგრამაში ასახა კიდევ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი, 16. 09. 2011 - პროგრამის გარე საექსპერტო დასკვნა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება მზადდება აკადემიური პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამის პერიოდული შეფასების მიზნით დაწესებულება მეტნაკლები ეფექტურობით ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. პროგრამაზე ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება ურთიერთდასწრების მეთოდით.

დაწესებულება ახერხებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვას აღნიშნულ პროცესში. მართალია, ტუტორი სტუდენტების ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში საინტერესო პრაქტიკაა, თუმცა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვერ მოახერხეს აღწერათ გამოკითხვის პროცესი, ფორმატი ან გაეხსენებინათ რომელიმე კონკრეტული კითხვა/საკითხი, რისი შეფასებაც მათ დაწესებულებამ სთხოვა. საგულისხმოა დამსაქმებელთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი პროგრამის შეფასების ნაწილში, ამასთან, მათი უკუკავშირი ხშირად ასახულია პროგრამის შინაარსშიც.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ინტერვიუები
 - სტუდენტთა გამოკითხვები,
 - ურთიერთდასწრების ოქმები
 - შრომის ბაზრის ანალიზი

რეკომენდაციები:

- სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ვაჟა ტრაპაიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გივი გავრდაშვილი

მამუკა ბენაშვილი

დავით ცირამუა